



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამულისრებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 38/3

2022 წლის 30 აგვისტო

ქ. თბილისი

„ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ კომისიის 2022 წლის 14 ივლისის №29/6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში – კომისია) 2022 წლის 29 აგვისტოს საჯარო სხდომაზე განიხილა საკითხი „ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ კომისიის 2022 წლის 14 ივლისის №29/6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ამავე გადაწყვეტილებით აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვრა 2022 წლის 31 აგვისტო, ხოლო დაინტერესებული პირების მიერ მოსაზრებების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 2022 წლის 18 აგვისტო.

„ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების“ მიღება შემჭიდროებულ ვადებში მიღება ვერ ხდება, დოკუმტზე დაინტერესებული მხარეების კომენტარების სიმრავლიდან გამომდინარე. კომისიას მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტის საფუძვლიანი დამუშავების მიზნით უნდა გაგრძელდეს „ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების“ მიღებისთვის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, საქართველო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე, 106¹, 106² და 106⁵ მუხლების თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვიტა:

1. „ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ კომისიის 2022 წლის 14

ივლისის №29/6 გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2023 წლის 1 მარტი.


3. „ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან - დადგენილებასთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2022 წლის 30 დეკემბერი.

2. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
3. გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების თაობაზე ცალკე არ საჩივრდება.
4. გადაწყვეტილების შესურლებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის აპარატის ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტს.



დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე 

გოჩა შონია

კომისიის წევრი 

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი 


გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი 